

შპს „გორპლასტი“ (ს/ნ 417885925)

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაამავე თარიღით
დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-12-24	31-12-23	31-12-22
მოკლევადიანი აქტივები	3829468	3385049	3090562
ფული სალაროში	44091	42003	18107
ფული ბანკში	38194	180495	88607
დებიტორული დავალიანება	307587	257196	220671
გადახდილი ავანსები	249642	117358	0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა (შენიშვნა 3.1)	3189954	2787997	2763177
საგადასახადო აქტივი	0	0	0
გრძელვადიანი აქტივები	565585	194592	152823
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3.2)	564596	193603	151834
არამატერიალური აქტივები	989	989	989
სულ აქტივები	4395053	3579641	3243385
მოკლევადიანი ვალდებულებები	797318	185813	851425
სავაჭრო ვალდებულებები	705703	77646	750098
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	59950
საგადასახადო ვალდებულებები	90064	105292	39778
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	1551	2875	1599
გრძელვადიანი ვალდებულებები	615206	459801	13678
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	615206	459801	13678
სულ ვალდებულებები	1412524	645614	865103
სულ საკუთარი კაპიტალი	2982529	2934027	2378282
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2982529	2934027	2378282
საწესდებო კაპიტალი		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4395053	3579641	3243385

შპს გორპლასტის დირექტორი

ზაზა ჯავახიშვილი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	8504070	8652287
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	7521	2802
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-6789292	-6988798
საერთო მოგება	1722299	1666291
ხელფასის სახით განაცემი	-391556	-393393
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3.2)	-61880	-40128
საპროცენტო ხარჯი	-34085	-720
საიჯარო ხარჯი	-78000	-78000
სხვა ხარჯი (შენიშვნა 3.3)	-135276	-148869
სხვა შემოსავალი		
საოპერაციო მოგება	1021502	1005181
საკურსოს სხვაობა (დადებითი + / უარყოფითი -)	-38015	21152
მოგების გადასახადის ხარჯი	-140248	-70588
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	843239	955745
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	843239	955745

შპს გორპლასტის დირექტორი

ზაზა ჯავახიშვილი

Handwritten signature



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	0	2,378,282	2378282
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	0	955745	955745
გადახდილი დივიდენდი	0	400000	400000
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	0	2,934,027	2934027
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	0	843239	843239
გადახდილი დივიდენდი	0	794737	794737
ნაშთი 2025 წლის 1 იანვარს	0	2,982,529	2982529

შპს გორპლასტის დირექტორი

ზაზა ჯავახიშვილი

Handwritten signature



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31-12-24	31-12-23
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	9992191	10176480
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-7172137	-8333324
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-307540	-308420
გადახდილი გადასახადები	-1548277	-1378153
სხვა საოპერაციო ფულადი სახსრები	-23073	-7428
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	941164	149155
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და გაუმჯობესება	-432873	-96639
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-432873	-96639
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება (შემცირება)	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	292480	446123
სესხის ძირის გადახდა	-137524	0
სესხის პროცენტის გადახდა	-34085	-720
დივიდენდების გადახდა	-755000	-380000
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-634129	65403
სულ ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-125838	117919
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	-14375	-2135
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	222498	106714
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	82285	222498

შპს გორპლასტის დირექტორი

ზაზა ჯავახიშვილი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა

შპს „გორპლასტი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 14 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საიდენტიფიკაციო ნომრით 417885925.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალუმინის და მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრის დამზადება და რეალიზაცია, ასევე, აღნიშნული ნედლეულის იმპორტი და რეალიზაცია.

იურიდიული და ფაქტიური მისამართია გორი, ს. ტინისხიდი.

კომპანიის 100% წილის მფლობელი და დირექტორი გახლავთ ზაზა ჯავახიშვილი (პ/ნ 59001016825)

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იხეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით, როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღდგენისათვის ადგენილ დარღვევების დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადინაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მომეღება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

წლიური ამორტიზაციის ნორმა	
მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს საბუღალტრო და სადისტრიბუციო პროგრამები, რომლებსაც ამორტიზაცია არ ერიცხება.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ მარაგებს, როგორცაა ალუმინის და მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრის ასაწყობად გამოსაყენებელი მასალები, ასევე, დამატებით კომპანიას სასაქონლო მარაგად აღრიცხული აქვს ნედლეული, მზა პროდუქცია და საწვავი. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს,

რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	დივიდენდი	იჯარა
2023 წელი -	400000 ლარი;	78000 ლარი;
2024 წელი -	794737 ლარი;	78000 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მუხლების ანალიზი

3.1 ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ

დასახელება	საწყისი ნაშთი	საბოლოო ნაშთი
სარიალიზაციო საქონელი	2224036	2513989
ნედლეული და მასალები	498760	610648
მზა პროდუქცია	63526	46600
სხვა მარაგები	0	16485
საწვავები	1675	2232
სულ	2787997	3189954

3.2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებები და დაგროვილი ცვეთა (2024 წელი)

დასახელება	საწყისი ნარჩენი საბალანსო ღირ-ება	2024 წელს მიღებული	ღირ-ება ცვეთის დარიცხვამდე	ცვეთა	საბოლოო ნარჩენი საბალანსო ღირ-ება
მანქანა დანადგარები	111508	39305	150813	30163	120650
ოფისის აღჭურვილობა	5263	0	5263	1053	4210
ავეჯი და სხვა ინვეტარი	2132	0	2132	426	1706
სატრანსპორტო საშუალება	32787	12712	45499	9100	36399
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	41913	380856	422769	21138	401631
ჯამი	193603	432873	626476	61880	564596

3.3 სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული სხვა ხარჯების გაშიფვრა (2024 წელი)

საწვავის ხარჯი	46660
საპენსიო ფონდის ანარიცხი	7131
საკანცელარიო ხარჯი	589
პროგრამული უზრუნველყოფა	356
ავტომობილის რემონტი	13215
საბუღალტრო მომსახურება	30000
სხვა საგადასახადო ხარჯი	3801
საბანკო მომსახურება	7287
გაზი	1646
ელ-ენერგია	1587
სამივლინებო ხარჯი	4080
სხვადასხვა	18924
ჯამი	135276

შპს „გორპლასტი“-ს დირექტორი

ზაზა ჯავახიშვილი

